ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 15.11.2012 სხდომის

ოქმი №6

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრთაგან 19

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის სტუდენტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შერჩევის წესის განხილვა-დამტკიცება
მომხს: ა. ბარნოვი
2. ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა სიით შემადგენლობაში ცვლილების შესახებ
მომხს: დ. მჭედლიშვილი
3. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013-14 სასწავლო წელს ადგილებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ
მომხს: დ. ოსეფაშვილი
4. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის სტუდენტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შერჩევის წესის პროექტი საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დეკანის მ.შ. ანდრო ბარნოვმა

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, ი კაჭკაჭიშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის სტუდენტთაგან საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა შერჩევის წესი წარმოდგენილი სახით (თან ერთვის)

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა სიით შემადგენლობაში ცვლილებები საბჭოს წევრებს გააცნო სტუდენტმა დავით მჭედლიშვილმა

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, თ. დოლბაიამ, ლ. ჩოხელმა

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტთა კვოტის ახალი შემადგენლობა:

1. ბექა დადეშქელიანი
2. ნესი კუპრეიშვილი
3. გიორგი ყიფშიძე
4. თეონა კვანჭიანი
5. გიორგი კაკაურიძე
6. ლევან ჩოხელი
7. დავით მჭედლიშვილი

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013-14 სასწავლო წელს ადგილებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ. დალი ოსეფაშვილმა საბჭოს წარუდგინა ანკეტა-კითხვარი

აზრი გამოთქვეს: ა. ბარნოვმა, მ. გერსამიამ, თ. გაგოშიძემ, თ. დოლბაიამ, ზ. დავითაშვილმა

დაადგინეს: საკითხის განხილვა გადაიდოს შემდგომი შესწავლისა და დაზუსტებისთვის

მოისმინეს: 4. მიმდინარე საკითხებში, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ და დეკანის მ. შ. ანდრო ბარნოვმა ისაუბრა ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესებზე. კერძოდ, მომდევნო სემესტრის ბაკალავრიატის საფეხურის სასწავლო ცხრილების შედგენაზე მუშაობის შესახებ. მან თხოვა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს მომდევნო კვირის ოთხშაბათისთვის სამაგისტრო საგნების ჩამონათვალის გამოგზავნა მაგისტრატურის ცხრილისთვის. ასევე, მან საბჭოს წევრებს გადასცა ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტ მარიამ ძაგოევის თხოვნა, რათა მას მიეცეს საშუალება ჩაწეროს სიუჟეტი ფაკულტეტის სხდომის მუშაობის შესახებ.
აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ლ. სურმანიძემ
დაადგინეს: საბჭომ გაიზიარა დეკანის მ. შ.-ს მოსაზრებები და მიიღო დავალებები ამ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ბარნოვი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატების შერჩევის წესი

1. თსუ–ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო დაფინანსება ითვალისწინებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა სწავლის საფასურის სემესტრულ დაფინანსებას შერჩევის საფუძველზე, ფაკულტეტის სტუდენტთა აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

2. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. სტუდენტს წინა სემესტრში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 კრედიტისა (ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტს – არანაკლებ 27 კრედიტი).

3. მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტების შეფასება ხდება უნივერსიტეტის მიერ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დაწესებულ გამოცდაზე, სტუდენტის მიერ კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე შესაბამის სპეციალობაში მიღებული ქულების (არანაკლებ 81 ქულა), ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის (შემდგომში – ფაკულტეტი) გამოყოფილი საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებს შორის თანხის ოდენობებს ანაწილებს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ მაგისტრატურის სტუდენტების დაფინანსების თაობაზე.

5. მაგისტრატურის სტუდენტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა, ამ წესის მე–6 პუნქტის გათვალისწინებით, ნაწილდება ფაკულტეტის მიმართულებებს შორის, მიმართულებებზე არსებული სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად. ამ წესის მიზნებისათვის ფაკულტეტის მიმართულებებში მოიაზრება: ფსიქოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერების, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, სოციოლოგიის, სოციალური მუშაობის, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და საერთაშორისო ურთიერთობის მიიმართულებები, ასევე - ინტერდისციპლინური მიმართულება.

6. მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა განისაზღვრება მაგისტრატურის საფეხურისათვის გამოყოფილი საერთო თანხის 25%–ის ოდენობით.

7. მაგისტრატურის სტუდენტთა სწავლის საფასურის სემესტრული დაფინანსება ითვალისწინებს სემესტრული გადასახადის 1/2 ან 2/3–ის ოდენობით დაფინანსებას.

გადაწყვეტილებას ამ პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობებიდან კონკრეტულ სტუდენტზე ერთ–ერთის გამოყენების თაობაზე იღებს შესაბამისი მიმართულება. თუ კონკრეტული მიმართულებისათვის განაწილებული თანხით ვერ ხერხდება დასაფინანსებელი სტუდენტებიდან ყველაზე დაბალი ქულის მქონე სტუდენტის დაფინანსება ამ პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების ერთ–ერთი მოცულობით, მაშინ ამ უკანასკნელს დაუფინანსდება სწავლის საფასური დარჩენილი თანხის ოდენობით.

8. ბაკალავრიატის სტუდენტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა ნაწილდება საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე ბაკალავრიატის სტუდენტებზე, ბაკალავრიატისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის გათვალისწინებით.

9.უნივერსიტეტში წინა სემესტრში გავლილი პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშების შედეგად ორი ან მეტი ყველაზე დაბალი ქულის მქონე დასაფინანსებელი სტუდენტის მიერ იდენტური შედეგის არსებობის შემთხვევაში, თანხა თანაბრად იყოფა სტუდენტების შესაბამის რაოდენობაზე.

10. შერჩეულ საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა სიას ფაკულტეტი კანდიდატთა შესარჩევ კომისიას წარუდგენენ შესაბამისი სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებამდე.

11. შერჩეული საუნივერსიტეტო დაფინანსების კანდიდატთა სიაში სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის ფლობის დადასტურების შემთხვევაში, საუნივერსიტეტო დაფინანსება გადადის იმავე მიმართულების რეიტინგით მომდევნო სტუდენტზე. შესაბამისად, ამ უკანასკნელს მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური უბრუნდება, საუნივერსიტეტო დაფინანსების მოცულობის შესაბამისად.

12. 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა გადანაწილდეს შემდეგნაირად: სწავლება სრულად დაუფინანსდეს მაგისტრატურის თითოეულ სპეციალობაზე წარჩინებულთა შორის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე ერთ სტუდენტს, ხოლო დარჩენილი თანხა გადანაწილდეს წინამდებარე წესის შესაბამისად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ნიმუში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი	
ვებგვერდი	
ელ.ფოსტა	
საკონტაქტო პირი (გვარი,სახელი,ტელეფონი,ელ.ფოსტა)	
სპეციალური პირობები აბიტურიენტებისთვის	
ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ	

აკადემიური პროგრამის დასახელება	აქვს თუ არა პროგრამა აკრედიტაცია	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდ.	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია.	შემოქმედებითი ტური	პრიორიტეტები
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი																		
საზოგადოებრივი გეოგრაფია; სოციოლოგია; სოციალური სამუშაო; ფსიქოლოგია; პოლიტიკის მეცნიერება	დიახ	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში, სოციოლოგიის ბაკალავრი, სოციალური მუშაობის ბაკალავრი, სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ფსიქოლოგიაში, პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი	ქართული	240	2250	~~550~~ 600	3	3	3	3	3	3						1-3-2-4/5/6
										200	200	200						
საერთაშორისო ურთიერთობები	**დიახ**	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	**ქართული**			80				20	30	30						

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	დიახ	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	ქართული-რუსული			120					60	60						
						800												

ახკეტის შევსების თარიღი

რეჭორი

ბ.ა.

შენიშვნა: 1. პროგრამა, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული და ნაწილობრივი ოდენობებით.
2. პროგრამა, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის მხოლოდ სრული ოდენობით (მხოლოდ 100%)

შენიშვნა:

გაზრდა 75 –მდე

15 ოქტომბერი, 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. ანდრო ბარნოვი

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. თამარ მახარაძე
5. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. სერგი კაპანაძე
8. ფიქრია ასანიშვილი
9. გიორგი ხელაშვილი

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

14. რევაზ ჯორბენაძე
15. გუგული მაღრაძე
16. თამარ გაგოშიძე
17. ია კუტალაძე
18. ხათუნა მარწყვიშვილი
19. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

20. მარიამ გერსამია
21. დალი ოსეფაშვილი
22. მარი წერეთელი
23. მანანა შამილიშვილი
24. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

25. იოსებ სალუქვაძე
26. რევაზ გაჩეჩილაძე
27. გიორგი გოგსაძე
28. თამარ დოლბაია

სტუდენტური თვითმმართველობა

29. ლევან ჩოხელი
30. გიორგი უძილაური
31. დავით მჭედლიშვილი
32. ბექა ბიჭიკაშვილი
33. მერი გოლოძე
34. სალომე მახარობლიშვილი
35. რიტა ხურციძე
36. გიორგი ყიფშიძე
37. ბექა [illegible]
38. გიორგი [illegible]